ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თეთრიწყარო

26/07/2018

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 823

823-13-4-201807261328

2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 ნოემბრის N1787 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 - ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54 - ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“, ,,ე.ე“ ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 61 - ე მუხლის მე - 3 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 9 მუხლის, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N200 დადგენილების მე - 8 მუხლის 1 - ლი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №191 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მაისის №225 დადგენილების და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის 2018 წლის 25ივლისის N1951 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 ნოემბრის N1787 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული კორექტირებული რედაქციით (დანართი 7 ფურცლად).

2. დანართი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს შესყიდვების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებული

შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი განხორციელების ორგანიზება/ხელშეწყობა.

4.კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს მალხაზ სამაშვილს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია